ალ კაიდა

საერთო მიმოხილვა

GCSD TRC

ალ კაიდა - საერთო მიმოხილვა

ავტორი: ლიზა წერეთელი

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

აბსტრაქტი

წინამდებარე დესკრიფციულ კვლევაში განხილულია ალ კაიდა, როგორც ორგანიზაცია რამოდენიმე მნინშვნელობით. მოცემულია ინფორმაცია ალ კაიდას შექმნასთან და მის პირველად მიზნებთან დაკავშირებით. ალ კაიდას შესახებ ინფორმაცია მუდმივად აქტუალურია, რადგან ის ერთგვარი გარდამტეხი ტერორისტული ორგანიზაციაა დასავლური ქვეყნებისთვის. ამას განაპირობებს 9/11 ტრაგედიის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტერორზე ომის გამოცხადება. ალ კაიდა ოსამა ბინ ლადენის თაოსნობით დაარსდა, თუმცა ამაში დიდი წვლილი მიუძღვის აბდულა აზამსაც, სწორედ ამან განაპირობა ალ კაიდას იდეოლოგიური ცვლილება. შექმნისას ალ კაიდას ამოცანა ავღანეთში კომუნისტურ ძალებთან ბრძოლა იყო, რასაც აზამი სრულიად მხარს უჭერდა. ავღანეთიდან კომუნისტური ძალების გასვლის შემდეგ კი ორგანიზაციის ვექტორი შეიცვალა და მის მიზნად გლობალური ჯიჰადი იქცა. ალ კაიდას შესაფასებლად მნიშვნელოვანია მისი ორგანიზაციული მოწყობისა და იდეოლოგიის გააზრება. ალ კაიდას ორგანიზაციული სტრუქტურა იერარქიულია და ის მრავალ განშტოებასა და საფეხურს მოიცავს, იერარქიის სათავეში კი ამირია. იდეოლოგია სალაფიტურ ჯიჰადს მოიაზრებს, რომელიც მუჰამედ აბდ ალ ვაჰაბისა და საიდ კუტბის აზრებს ეფუძნება. იდეოლოგიური და ორგანიზაციული ფონის გააზრების შემდეგ კი მოცემულია ალ კაიდას მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი თავდასხმების ქრონოლოგია, ორგანიზაციის შეიარაღება და ცნობები ფინანსებზე.

ტექსტში გამოყენებული ტერმინებისა და აბრევიატურების განმარტება

ჯიჰადი - ბრძოლა ისლამის მტრების წინააღმდეგ (ოქსფორდის განმარტება)

შარიათის კანონი - ისლამური კანონმდებლობა, რომელიც დიდწილად ეყრდნობა ყურანს.

MAK – მაქთაბ ალ ხიდმათ ლილ მუჯაჰიდინ ალ-არაბი

მუჯაჰიდი - პარტიზანი მებრძოლი ისლამურ სახელმწიფოებში (ოქსფორდის განმარტება)

AQI – ალ კაიდა ერაყში

ბაიათი - ერთგულების ფიცი ამირის წინაშე

AQAP – ალ კაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე

AAS – ანსარ ალ შარია

AQIM – ალ კააიდა ისლამურ მაღრებში

GSPC – სალაფიტური ჯგუფი ქადაგებისა და ბრძოლისთვის

MUSJWA - მოძრაობა ერთიანობისა და ჯიჰადისთვის დასავლეთ აფრიკაში

სარჩევი

აბსტრაქტი 2

ტექსტში გამოყენებული ტერმინებისა და აბრევიატურების განმარტება 3

შესავალი 5

ალ კაიდას ფორმირება 5

იდეოლოგია 9

ორგანიზაციული სტრუქტურა 11

მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტები 15

დაეში და ალ კაიდა 17

ფინანსები და შეიარაღება 19

მოკავშირეები 22

ბიბლიოგრაფია 27

დანართები 29

შესავალი

ალ კაიდა ისლამისტური, სალაფიტური ჯიჰადის მიმდევარი ორგანიზაციაა. ის 1988 წელს ავღანეთში ომის პერიოდში დაარსდა და დღემდე აგრძელებს არსებობას. მისი პირველი ლიდერი და დამფუძნებელი ოსამა ბინ ლადენია, რომლის ლიკვიდაციაც ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, 2011 წელს მოხერხდა. ალ კაიდას პასუხისმგებლობის ქვეშაა უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და შემზარავი ტერორისტული თავდასხმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა. თავდასხმა დასავლური სახელმწიფოებისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა, მოქალაქეებმა დაინახეს რეალური საფრთხე. წინამდებარე ტექსტი შეეცდება ალ კაიდას, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის მიმოხილვას ისტორიულ, იდეოლოგიურ და ქრონოლოგიურ კონტექსტში.

ალ კაიდას ფორმირება

ოსამა ბინ ლადენი, ალ კაიდას დამაარსებელი და მეთაური საუდის არაბეთში, მდიდარ ოჯახში დაიბადა. სტუდენტობის პერიოდში მასზე ვაჰაბიზმმა დიდი გავლენა მოახდინა, შემდეგ კი იემენში ისლამისტურ მოძრაობებში იღებდა მონაწილეობას, ავღანეთში სსრკ-ს ჯარების შესვლის შემდეგ მონაწილეობდა ანტი-კომუნისტურ მოძრაობაშიც. 1984 წელს აბდულა აზამმა, რომელიც იმავე მიზნით იმყოფებოდა ავღანეთში, მაქთაბ ალ ხიდმათ ლილ მუჯაჰიდინ ალ-არაბი (MAK) დაარსა, რომელსაც ავღანეთის სერვისის ბიუროსაც უწოდებენ. ოსამა ბინ ლადენი აზამს შეუერთდა და ეს უკანასკნელი მის მენტორად იქცა. MAK ავღანეთში კომუნისტების წინააღმდეგ იბრძოდა. კომუნისტების ავღანეთიდან გასვლის პერიოდში კი აზამმა და ბინ ლადენმა ბაზა, იგივე ალ კაიდა დააარსეს. აზამისთვის ალ კაიდა სწრაფი მოქმედების ორგანო იყო რეპრესირებული მუსლიმებისთვის მსოფლიოს გარშემო. აზამის ჩანაფიქრში ალ კაიდა გლობალური ტერორისტული ორგანიზაცია არ ყოფილა. მისთვის „მიზანი საშუალებას არ ამართლებდა“ და ჯიჰადი განსაზღვრული მტრისგან თავდაცვის საშუალება იყო და არა შორეული, სპეკულირებული მტრის. მიუხედავად იმისა, რომ აზამი დაჯგუფების იდეოლოგიური

დამფუძნებელი იყო, მეთაურობა ბინ ლადენმა მალევე შეითავსა და საკუთარი შეხედულებისამებრ გამართა. (Gunaratna, Al Qaeda's ideology, 2005)

ალ კაიდას საწყისების შესახებ ინფორმაციის საუკეთესო წყარო, თავად ორგანიზაციის დაარსების დოკუმენტებია. დოკუმენტების მიხედვით ალ კაიდა 1988 წლის 18 აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა, რაც ფორმაციის წლებს კომუნისტების წინააღმდეგ ჯიჰადის პერიოდში აქცევს. დოკუმენტები სამ დღიან შეხვედრაზე ბინ ლადენის სახლში, პაკისტანის პროვინცია, პეშავარში გაფორმდა. შეხვედრას ოსამა ბინ ლადენი, აბუ უბაიდა ალ ბანჯშირი, ალ კაიდას სამხედრო მეთაური, და აბუ ჰაჯირ ალ ირაქი, ალ კაიდას რელიგიური მრჩეველი ესწრებოდნენ. მათ ფორმალურად ჩამოაყალიბეს მრჩეველთა საბჭო, მოთხოვნების სია გასაწევრიანებლად და ერთგულების ფიცი ალ კაიდას ახალი წევრებისთვის.
(Bergen & Cruickshank, 2012)

მსურველთათვის თავდაპირველი საწევრო მოთხოვნები შემდეგი იყო:

- *დროის მიუხედავად ვალდებულებების მიმართ გახსნილობა*
- *მოსმენისა და დაჯერების უნარი*
- *კარგი მანერები*
- *ალ კაიდასთან კავშირი სანდო წყაროს მეშვეობით*
- *ალ კაიდას წესებისა და ინსტრუქციების დაჯერება*

(Bergen & Cruickshank, 2012)

ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიის ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრს მოპოვებული აქვს ხელნაწერი დოკუმენტები და წერილები, რომლებიც მეტ ინფორმაციას გვაწვდის ალ კაიდას ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ. ხელმისაწვდომია ალ კაიდაში რეკრუტირების კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, რამოდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გამოყოფა შეიძლება. კონტრაქტი შეიცავს ალ კაიდას, როგორც ორგანიზაციის განმარტებას და ინფორმაციას მისი 6 მთავარი კომპონენტის შესახებ: მოვალეობები, დღესასწაულები, ხელფასი და სამოგზაურო ბილეთები, რჩევა, დასაჩუქრება და დასჯა, ფიცი. ალ კაიდას, როგორც ორგანიზაციის განმარტება მოცემულია შემდეგნაირად: ისლამური დაჯგუფება ჯიჰადის მიზნით. ჯიჰადის განხორციელება არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ალ კაიდას წევრები შეიკრიბნენ, ისლამური მოვალეობების შესრულებასთან და კოფლიქტურ სიტუაციებში ეფექტიან სამუშაოსთან ერთად. ალ კაიდას მიზნები კი შემდეგნაირადაა

მოცემული: ღმერთის რელიგიის მხარდაჭერა, ისლამური მმართველობის დამყარება და ისლამური სახალიფოს აღდგენა. ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრის დოკუმენტებში ვაწყდებით მოთხოვნების სრულყოფილ სიას.

ალ კაიდაში გაწევრიანების მოთხოვნები:

1. *ალ კაიდას წესების, რწმენისა და მიზნების გაზიარება*
2. *ზემომდგომების მორჩილება, ისლამური წესების დარღვევის გარეშე*
3. *სხვა ისლამურ დაჯგუფებასთან კავშირის არ ქონა*
4. *სამსახურთან დაკავშირებული საკითხების საიდუმლოდ შენახვა*
5. *ფიზიკური ჯანმრთელობა (გარდა ადმინისტრაციული სამუშაოსა)*
6. *კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს შეკითხვები რელიგიასთან, მორალთან და ერთობასთან დაკავშირებით*
7. *ალ კაიდას ფიცის წარმოთქმა*

(Combating Terrorism Center, 2002)

ხელფასი და დასვენების დღეების რაოდენობა წევრებში განსხვავდება ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. დაოჯახებულ „მუჯაჰიდ ძმებს“ 6500 პაკისტანური რუპია ერგებათ, ხოლო მარტოხელებს 1000. მსგავსი სისტემა მოქმედებს დასვენების დღეებთან დაკავშრებით. დაოჯახებულ მუჯაჰიდს სამი კვირის განმავლობაში, ერთი კვირით შეუძლია დასვენება, ხოლო მარტოხელას თვეში 5 დღე. დასვენების დღეები ორ თვე ნახევრით ადრე უნდა იყოს მოთხოვნილი და ორგანიზაციამ შეიძლება უარი თქვას მათ მინიჭებაზე. კონტრაქტის ბოლო ნაწილს ფიცი წარმოადგენს, ფიცის დარღვევისთვის მორწმუნე მუსლიმი რელიგიურ პასუხისმგებაში მიეცემა.

ფიცი მუჯაჰიდი ძმისაგან:

ყველაზე შემწყნარებელი და მოწყალე ალაჰის სახელით.

ვფიცავ ღმერთის წინაშე, რომ დავემორჩლები მათ, ვინც პასუხისმგებელია ამ მისიაზე. დაე ღმერთის სიტყვა იყოს უზენაესი. ღმერთის რელიგიის მხარდაჭერით, მე ვარ

მეომარი ამ მისიაში, მიუხედავად ჩემი პოზიციისა. სადამდეც საქმე იარსებებს, უნდა შევინარჩუნო ალ კაიდას საქმეების საიდუმლოება, ღმერთი არს ჩემი მოწმე.

(Combating Terrorism Center, 2002)

ბერგენი და კრაუკშანკი ალ კაიდის ევოლუციას 5 ნაწილად ყოფენ: დაარსება (1988-1989), ახალი ჰორიზონტები (1989 წლის თებერვალი- ნოემბერი), ბინ ლადენის საუდის არაბეთში დაბრუნება (1989 ნოემბერი - 1991 დასაწყისი), ბინ ლადენის პაკისტანში დაბრუნება (1991 დასაწყისი - 1992 დასაწყისი), სუდანის წლები (1992-1996). (Bergen & Cruickshank, 2012)

პეშავარში ალ კაიდას დაარსების შემდეგ, ორგანიზაციას სახელად „Al Qaeda Al Askiriya“, ანუ სამხედრო ბაზა დაერქვა. ბერგენის და კრაუკშანკის ინფორმაციით, არაა ცნობილი, გამიზნული ჰქონდა თუ არა ბინ ლადენს ორგანიზაციის გლობალურ ტერორისტულ ძალად ქცევა, ალ კაიდა დაარსებისას პაკისტანსა და ავღანეთში მოქმედებისთვის შექმნილი ძალა იყო. არსებობს ცნობები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ალ კაიდას კონცეპტი 1987 წელს აბდულა აზამმა ბინ ლადენის მენტორმა შექმნა და არა თავად ბინ ლადენმა. ორგანიზაციის შექმნის მიზეზი და მიზანი თავდაპირველად ავღანეთში მიმდინარე ომი და კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. დროთა განმავლობაში კი ეს ყველაფერი შეიცვალა.

1989 წელს ავღანეთიდან სსრკ ჯარების გასვლამ ალ კაიდას ლიდერებს ჯიჰადის ინტერნაციონალიზაციაზე ფიქრი დააწყებინა. მათ მუჯაჰიდი ძმების გაერთიანება და საერთაშორისო ჯიჰადისტური ქსელის ჩამოყალიბება დაიწყეს. საერთაშორისო ამბიციები ვესტ პოინტის მიერ მოპოვებულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია როგორც „მთავარი მიზნები“.

მთავარი მიზნები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1. *ისლამურ ერებში ჯიჰადის გავრცელება*
2. *ისლამური კადრების მომზადება ტრენინგებისა და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის სახით*
3. *მსოფლიოს გარშემო ჯიჰადისტური მოძრაობების შეძლებისდაგვარად მხარდაჭერა*

4. *მსოფლიოს გარშემო არსებული ჯიჰადისტური მოძრაობების კოორდინაცია*

ოსამა ბინ ლადენის საუდის არაბეთში დაბრუნებას რეკრუტირებული ტერორისტი მებრძოლების საუდის არაბეთში შარიათის კანონის სასწავლად გაგზავნა მოჰყვა. მისი პაკისტანში დაბრუნების შემდეგ კი საბოლოო გეგმები ჩამოყალიბდა. ალ კაიდას ყოფილი წევრის ინფორმაციით, ამ პერიოდში ჩამოყალიბდა საბოლოო მიზანი: სახალიფოს დამყარება, ისლამური მმართველობის დამყარება, ხოლო მოკლევადიანი მიზნები მუსლიმების საბრძოლო ხელოვნებაში წვრთნა იყო. ევოლუციის მეხუთე ეტაპზე კი ორგანიზაციამ ამ მიზნებისკენ სვლა დაიწყო. ის მეტ მეომარს ამატებდა ალ კაიდას რიგებში და ამზადებდა, მიმდინარეობდა ფინანსების მოძიების პროცესი, შემდეგ კი ამ ფინანსებსა და მომზადებულ მეომრებს შესაბამის წერტილებში აგზავნიდნენ. მალევე განხორციელდა პირველი ტერორისტული აქტი ამერიკულ სამიზნეზე, ადენში, იემენში სასტუმროების აფეთქება, სადაც ამერიკელი სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ დაბინავებულნი. ამას სხვა თავდასხმებიც მოჰყვა. როგორც ერთ-ერთმა ყოფილმა წევრმა განაცხადა, ამ პერიოდში მათ უთხრეს, რომ ჯიჰადი ავღანეთში დამთავრებული იყო და ახლა სხვაგან იწყებოდა. (Bergen & Cruickshank, 2012)

იდეოლოგია

ალ კაიდა, როგორც ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის საზღვრებს სცდება, უპირველესყოვლისა იდეოლოგიურ საფუძვლებზე დგას. იდეოლოგიური „ჭეშმარიტებებისა“ და მიზნების არსებობა ხელს უწყობს ორგანიზაციაში წევრების მოზიდვასა და მათ შენარჩუნებას. მკვლევარი, როჰან გუნარათნა ამტკიცებს, რომ ალ კაიდას ძალა დგას არა მის გლობალურ ინფრასტრუქტურასა თუ წევრებზე, არამედ მის იდეოლოგიაზე, რომელიც მიზანმიმართულად ავრცელებს გლობალური ჯიჰადის იდეას მუსლიმებში. (Gunaratna, Al Qaeda's ideology, 2005)

ალ კაიდას იდეოლოგია ხშირად ყოფილა აღწერილი, როგორც „ულტრა-კონსერვატორული“, „ვაჰაბი“, „პან-ისლამიზმი“, „კონსპირაციული“, „ნეო-

ფუნდამენტალისტური“, „კონტრ-ჰეგემონიული“ და „ აპოკალიპტური“, მაგრამ მკვლევრებზე დაყრდნობით, ალ კაიდას იდეოლოგია სალაფიტური ჯიჰადის ვერსიაა. როგორც ამას გილ კეპელი აღწერდა, ეს არის წმინდა ტექსტების პატივისცემა და ჯიჰადისადმი აბსოლუტური თავდადება. (Rebasa, და სხვ., 2006)

აზამი ალ კაიდას იდეოლოგი იყო დაარსებისას, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ იდეოლოგიური ვაკუუმი აიმან ალ ზავაჰირიმ შეავსო. ზავაჰირის მმართველობის ქვეშ, ალ კაიდას იდეოლოგია გამოირჩეოდა ნებით, მოეკლათ ნებისმიერი, ვისაც ისლამის მტრად ჩათვლიდნენ. ჯიჰადიზმის ახალი იდეოლოგია ორ თანამედროვე სუნიტურ ისლამურ მოაზროვნემდე დადის: მუჰამად ბინ აბდულ ვაჰაბი და საიდ კუტბი. ვაჰაბი უარყოფს ისლამის განვითარებას წინასწარმეტყველი მუჰამედის სიკვდილის შემდგომ გასული ერთი თაობის მიღმა. ის უარყოფს ისლამური რელიგიის განვითარების ათასწლეულს. კუტბი კი დასავლურ ცივილიზაციას ისლამის მტრად მიიჩნევს და მუსლიმური ქვეყნების ლიდერებსაც განსჯის, წესების თადარიგის დაუცველობის გამო. ის ქადაგებდა, რომ თავდაცვითი ჯიჰადი უნდა განხორციელდეს არამხოლოდ ისლამის დასაცავად, არამედ ისლამის გასაწმენდად არაჭეშმარიტი რწმენისაგან.

ალ კაიდას გადმოსახედიდან, ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი ისლამის წინააღმდეგ საერთაშორისო შეთქმულების მეთაურები არიან. ხოლო მუსლიმებთან დაპირისპირებას თეოლოგიურად „მართალი“, „წმინდა“ ისლამისა და ერეტიკოსობის დაპირისპირებად აღწერენ. ალ კაიდამ მისი ჯიჰადისტური იდეოლოგია მარტვილობის თეოლოგიასაც დაუკავშირა. წევრებს ღრმად სწამთ, რომ ალაჰი აჯილდოვებს ადამიანებს, რომლების სიცოცხლეს წმინდა მიზანს სწირავენ. (Gunaratna, Al Qaeda's ideology, 2005)

სალაფიტური ჯიჰადის იდეოლოგიას მკვლევრები მე-20 საუკუნის ევროპის რადიკალურ მემარცხენე იდეოლოგიებსაც ადარებენ. როგორც რადიკალური მემარცხენეობა, სალაფიტური ჯიჰადიზმი საკუთარ ქმედებებს უსამართლობასთან ბრძოლად მოიაზრებს, უარყოფს ბურჟუაზიულ ფასეულობებს, მატერიალიზმსა და იმპერიალიზმს. აქტივისტებს მიაჩნიათ, რომ მათი მიზნები და ქმედებები გლობალური ხასიათისაა. სტეფან ჰოლმსი აღნიშნავს, რომ სალაფიტი ჯიჰადისტებისთვის სახალიფო არის მარქსის კომუნისტური უტოპიის რელიგიური ექვივალენტი. (Mogadam, 2008)

იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია საკუთარ წევრებს შემდეგი ზომების მიღებას სთხოვს:

- **სალაფიტური ისლამური რეფორმა.** ჯგუფი მოითხოვს შარიათის კანონის მკაცრ უზენაესობას.
- **თავდაცვითი ჯიჰადი.** ალ კაიდას სიტყვებით, წევრებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ დასავლურ აგრესიას.
- **თავდასხმები „შორეულ მტერზე“.** თავდასხმები დასავლეთზე, რასაც რეგიონში უცხოური გავლენების აღმოფხვრის მცდელობით ამართლებენ.
- **განდგომილი რეჟიმების მოცილება.** ალ კაიდას სურს ისეთი მთავრობების დამხობა, რომლებიც არ იყენებენ შარიათის კანონის ინტერპრეტაციებს უზენაესი კანონების სახით.
- **ეკონომიკური ბრძოლა.** მიმდევრები წახალისებულნი არიან ეკონომიკურად მნიშვნელოვან პუნქტებზე თავდასხმისთვის, რათა მეტად დაასუსტონ მტერი.
- **თავდასხმები არა-სუნიტ მუსლიმურ ჯგუფებზე.** ალ კაიდა შიიტ მუსლიმებს განდგომილებად მიიჩნევს, ზოგი ლიდერი შიიტ მუსლიმ მოსახლეობაზე თავდასხმებასაც ახალისებს, ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს პრიორიტეტული არ უნდა იყოს.

(Humud, და სხვ., 2014)

ორგანიზაციული სტრუქტურა

შექმნის დღიდან ალ კაიდა, როგორც ორგანიზაცია, იერარქიულად ჩამოყალიბდა. ალ კაიდას შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია პირველად ავღანეთში შესაბამისი დოკუმენტების მოპოვების შემდეგ გახდა ცნობილი. იერარქია და ორგანიზაციული სტრუქტურა ალ კაიდას მეთაურების მიერ იქნა დადგენილი და ის შემდგენაირად გამოიყურება:

ალ კაიდას ორგანიზაციული სტრუქტურა და იერარქია



(Gunaratna & Oreg, Al Qaeda's Organizational Structure and its Evolution, 2010)

*WMO-ბირთვული იარაღის სექცია

* ალ საჰაბი - ალ კაიდას მედია წარმოება

ამირი საერთო ლიდერია, რომელიც პასუხისმგებელია ალ კაიდას ყველანაირ აქტივობაზე. მას ეხება ოპერაციები როგორც ავღანეთში, ისევე მის ფარგლებს გარეთ. ყოველი აქტივობა და პოზიციის ცვლილება ითხოვს ამირის თანხმობას. ალ კაიდას დამფუძნებელი და ამირი წლების განმავლობაში იყო ოსამა ბინ ლადენი.

დეპუტატი იერარქიულ კიბეზე მეორე ადამიანია. მისი პასუხისმგებლობები დამოკიდებულია იმაზე თუ რას ანდობს მას ამირი. ოსამა ბინ ლადენის ამირობის პერიოდში დეპუტატის პოზიციას აიმან ალ-ზავაჰირი იკავებდა.

მდივანი ამირის მიერ დანიშნული პირია და პასუხისმგებელია ლიდერის შეხვედრების, საგარეო ურთიერთობებისა და მისი სამუშაო გრაფიკის ორგანიზებაზე.

მეთაურთა საბჭო, „Majlis Al Shura“ უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა ალ კაიდაში. მათი ფუნქცია ორგანიზაციის აქტივობების დაგეგმვა და განხორციელების კონტროლია. საბჭოს 7-10 წევრი ყავს და მათ 2 წელიწადში ერთხელ ამირი ირჩევს. საბჭოს შემადგენლობაში ყოფნა მხოლოდ უხუცეს წევრებს შეუძლიათ.

სამხედრო კომიტეტი ორგანიზაციის სხვადასხვა ოპერაციულ და სამხედრო აქტივობაზე პასუხისმგებელი ორგანოა. მის პასუხისმგებლობაში შედის ტერორისტი მებრძოლების სამხედრო მომზადებაც.

სამხედრო კომიტეტი 4 ძრითადი სექციისგან შედგება:

ძირითადი სექცია, რომელიც პასუხისმგებელია ავღანეთში მიმდინარე შიდა ომებზე. მთავარი სექცია ორი ქვე-განყოფილებისგან შედგება. მთავარი განყოფილება, რომელიც რეგიონალურ გეოგრაფიულ სექციებად იყოფა, რომლებსაც მეთაურები ჰყავთ. ტრენინგის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია მებრძოლების ტრენინგზე. ეს განყოფილება კოორდინაციაშია მთავარ განყოფილებასთან.

განსაკუთრებული ოპერაციების განყოფილება პასუხისმგებელია საგარეო ოპერაციებზე (ავღანეთის საზღვრებს გარეთ). ალ კაიდას მიერ განხორციელებული ყველა ცნობილი ტერორისტული თავდასხმა ამ განყოფილების მიერაა დაგეგმილი და განხორციელებული. მათ შორის: 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმა ნიუ

იორკში, ვაშინგტონსა და პენსილვანიაში, 2002 წლის სინაგოგაზე თავდასხმა ტუნისში და სხვა.

დოკუმენტაციების განყოფილება განსაკუთრებული ოპერაციების განყოფილების ნაწილია და მისი საქმიანობა ალ კაიდას წევრებისთვის ყალბი დოკუმენტების შექმნას მოიცავს.

WMD ქვე-განყოფილება, ასევე ცნობილია, როგორც ბირთვული იარაღის სექცია. ამ განყოფილებაზე ინფორმაცია დამალულია, მაგრამ სავარაუდოა, რომ ის ალ კაიდასთვის ბრძოლის არატრადიციული მეთოდების განვითარებაზე ზრუნავს.

პოლიტიკური კომიტეტი ალ კაიდას წევრებსა და სხვა ავღანელებში პოლიტიკური იდეების გავრცელებას ემსახურება. კომიტეტს კავშირი აქვს სხვა ჯიჰადისტურ მოძრაობებთან და დაჯგუფებებთან.

მედიის კომიტეტი ასევე ცნობილი, როგორც საინფორმაციო კომიტეტი, მუშაობს პროპაგანდის შექმნასა და გავრცელებაზე. მისი მიზანია ჯიჰადისტური იდეოლოგიის გავრცელება მუსლიმ მოსახლეობაში. კომიტეტს რამოდენიმე ქვე-განყოფილება აქვს, რომელთა კოორდინირებული მუშაობითაც იქმნება და ვრცელდება პროპაგანდა. კომიტეტის პირველი მეთაური აბუ მოსაბ როიტერი იყო.

ადმინისტრაციული და ფინანსური კომიტეტი პასუხისმგებელია ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებასა და მის იმპლემენტაციაზე. 1990 წლებიდან ამ განყოფილების მეთაური მუსტაფა აბუ ალ-იაზიდი იყო. კომიტეტის ქვეშ სამი განყოფილება მუშაობს: განსახლების, ბუღალტერიისა და ინტერ-ორგანიზაციული მომსახურებების. პირველი პასუხისმგებელია სტუმრების მასპინძლობასა და დაბინავებაზე. ბუღალტერიის განყოფილება ფულად გადმორიცხვებს უზრუნველყოფს. ხოლო ინტერ-ორგანიზაციული სერვისების განყოფილება ორგანიზაციის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების საჭიროებების მხარდაჭერისთვისაა შექმნილი.

უსაფრთხოების კომიტეტი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წევრების უსაფრთხოების დაცვაზეა კონცენტრირებული. ამას გარდა ის მუშაობს ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვაზე და ახორციელებს კონტრ-შპიონაჟს ინფორმაციის

დასაცავად. უსაფრთხოების კომიტეტის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი საიფ ალ ადილია.

რელიგიური კომიტეტი განიხილავს ისლამის კანონებს და წყვეტს, მოდის თუ არა მასთან თანხვედრაში ორგანიზაციის დაგეგმილი აქტივობები. კომიტეტის მეთაურები იყვნენ აბუ იაჰია ალ ლიბი და ხალედ ალ შინტკიტი.

(Gunaratna & Oreg, Al Qaeda's Organizational Structure and its Evolution, 2010)

მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტები

- 1992 წლის 29 დეკემბერი, ალ კაიდას მიერ ოგანიზებული პირველი აფეთქება ადენის სასტუმროში. თავდასხმის მიზანი სასტუმროში დაბინავებული ამერიკელი სამხედროები იყვნენ, მაგრამ მან 2 ტურისტის სიცოცხლე შეიწირა. (The Guardian, 2005)
- 1993 წლის 26 თებერვალი, 500 კილოგრამიანი ჭურვის აფეთქება ნიუ იორკში. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პარკინგში 500 კილოგრამიანი ჭურვი აფეთქდა. ალ კაიდას კავშირი მხოლოდ 1996 წელს გახდა ცნობილი. (BUREAU OF DIPLOMATIC SECURITY, 2019)
- ჩართულობა 1993 წლის მუგადიშუს ოპერაციაში, სომალში. (Wander, 2008)
- 1996 წლის 25 ივნისი, თავდასხმა საუდის არაბეთში და 19 გარდაცვლილი ამერიკელი სამხედრო. (The Guardian, 2005)
- 1997 წლის 17 ნოემბერი, ლუქსორში, ეგვიპტეში 63 ადამიანის ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობა. (Wander, 2008)
- 1998 წლის 7 აგვისტო, თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებზე კენიასა და ტანზანიაში. თავდასხმას 223 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. (Wander, 2008)
- 2000 წლის 12 ოქტომბერი, იემენი, თვითმკველი აფეთქება, 17 აშშ-ს მოქალაქე გარდაცვლილი. (The Guardian, 2005)

- 2001 წლის 11 სექტემბერი, თავდასხმა ნიუ იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და ვაშინგტონში პენტაგონის შენობაზე. თავდასხმებს 2974 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. (Wander, 2008)
- 2002 წლის 11 აპრილი, თავდასხმა სინაგოგაზე ტუნისში (Wander, 2008)
- 2002 წლის 14 ივნისი, ამერიკის საკონსულოსთან აფეთქება, 12 გარდაცვლილი და 45 დაშავებული. (The Guardian, 2005)
- 2002 წლის 12 ოქტომბერი, აფეთქება ბალიზე, 202 მოკლული და 132 დაშავებული. (The Guardian, 2005)
- 2002 წლის 28 ნოემბერი, სასტუმროს აფეთქება კენიაში, 16 გარდაცვლილი, 40 დაშავებული. (The Guardian, 2005)
- 2003 წლის 12 მაისი, აფეთქებათა სერია რიადში, საუდის არაბეთში. (Wander, 2008)
- 2003 წლის 16 მაისი, თვითმკველლთა აფეთქებები კასაბლანკაში, მაროკოში. თავდასხმებს 45 ადამიანი ემსხვერპლა. (Wander, 2008)
- 2003 წლის 19 აგვისტო, აფეთქება ბაღდადში, გაეროს ოფისთან, 22 გარდაცვლილი. (The Guardian, 2005)
- 2003 წლის 15 ნოემბერი, აფეთქება სინაგოგებთან სტამბულში, 25 გარდაცვლილი. (The Guardian, 2005)
- 2003 წლის 20 ნოემბერი, HSBC-ს ოფისისა და ბრიტანეთის საკონსულოს აფეთქება, 30 გარდაცვლილი და 400-მდე დაჭრილი. (The Guardian, 2005)
- 2004 წლის 11 მარტი თავდასხმა მადრიდში. 191 დაღუპული და 2000-მდე დაშავებული. (Wander, 2008)
- 2005 წლის 7 ივლისი, თავდასხმები საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ბრიტანეთში, 70-მდე გარდაცვლილი. (The Guardian, 2005)
- 2008 წლის 2 ივნისი, თავდასხმა დანიის საელჩოზე პაკისტანში, 6 გარდაცვლილი. (Wander, 2008)
- 2010 წლის თებერვალი, გერმანული საცხობის აფეთქება ინდოეთში, 17 გარდაცვლილი (The Hindu, 2010)
- 2010 წლის აპრილი, აფეთქებები ბაღდადში, 61 გარდაცვლილი , 100-ზე მეტი დაშავებული. (CNN Wire Staff, 2010)

- 2010 წლის მაისი, სროლა და აფეთქებები ჰილაში, ერაყში, 100-ზე მეტი გარდაცლილი და 350-მდე დაშავებული. (BBC, 2010)
- 2010 წლის ნოემბერი, აფეტქება ბაღდადში, 113 გარდაცვლილი, ალ კაიდას მოკავშირე დაჯგუფება, ალ კაიდა ერაყში. (Parker & Zeki, 2010)
- 2011 წლის იანვარი, თავდასხმები შიიტ მუსლიმებზე ერაყში, 85 გარდაცვლილი. (Leland, 2011)
- 2012 წლის მაისი, აფეთქება იემენის დედაქალაქში, 96 გარდაცვლილი, 200-მდე დაშავებული. (Al Jazeera, 2012)
- 2015 წლის თავდასხმა შარლი ებდოზე, 12 გარდაცვლილი, პასუხისმგებლობას ალ კაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე (AQAP) იღებს. (Al Jazeera, 2015)
- 2019 წლის აგვისტო, თავდასხმა იემენის სამხედრო ბაზაზე, 19 გარდაცვლილი. (Al Jazeera, 2019)
- 2021 წლის იანვარი, ალ კაიდას მოკავშირე ჯგუფი ჩრდილოეთ აფრიკაში იღებს პასუხისმგებლობას ფრანგ სამხედროებზე თავდასხმაზე მალიში. (Al Jazeera, 2021)

დაეში და ალ კაიდა

დაეში და ალ კაიდა ერთი ტიპის ორგანიზაციებად მიიჩნევიან, შეიძლება ითქვას, მათ საერთო ფესვებიც აქვთ. იდეოლოგიური და მიზნობრივი სხვაობების მიუხედავად, მათი კავშირი გრძელდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ორგანიზაციების გზები გაიყო. დაეში შექმნისას ცნობილი გახდა, როგორც ალ კაიდა ერაყში (AQI), ორგანიზაციამ 2004 წელს ცენტრალურ ალ კაიდას ბაიათი, იგივე ერთგულების ფიცი დაუდო. ამ დროს ალ კაიდას ლიდერი ოსამა ბინ ლადენი იყო, მას მართვის საკუთარი პრინციპები და სტრატეგიები ჰქონდა. მისი სიკვდილის შემდეგ ამირის პოზიცია აიმან ალ-ზავაჰირიმ დაიკავა. ალ კაიდასა და დაეშის გაყოფის შესახებ ცნობებს ბეიკონი და არნესო 2017 წლის ნაშრომში დეტალურად გვაწვდიან. 2011 წელს, როდესაც ალ-ზავაჰირიმ ამირის პოზიცია დაიკავა, დაეშის ისლამურმა სახელმწიფომ ერაყში საზოგადოდ არ გამოაცხადა ბაიათი. ალ კაიდას რწმუნებით, დაეშის ლიდერმა ალ-

ბაღდადიმ პირადად და საიდუმლოდ გამოუცხადა ბაიათი ალ-ზავაჰირის, მაგრამ ეს ინფორმაცია დაუდასტურებელია. თუმცა, ბაიათის გატეხვა სერიოზული დანაშაულია და ეს დააზიანებდა ისლამისტურ წრეებში პიროვნების პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას საზოგადო ბაიათი არ გამოუცხადებია, გავრცელდა განცხადება ალ კაიდასადმი ერთგულების შესახებ. 2013 წელს ისლამური სახელმწიფო ერაყში და ალ-ნუსრას გაერთიანება და ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სიარიაში, იგივე დაეშის შექმნა გამოცხადდა, თუმცა ალ-ჯოლანიმ, ალ-ნუსრას ლიდერმა ერთობა უარყო და ალ კაიდასადმი ერთგულება გაამყარა. დაჯგუფებებს შორის სამი მნიშვნელოვანი სტრატეგიული განსხვავება არსებობდა, რომელთაც რაღაც პერიოდის განმავლობაში გვერდს უვლიდნენ, მაგრამ 2013 წელს საბოლოოდ გაიყვნენ. პირველი, ისინი ვერ თანხმდებოდნენ, რომელი იყო მეტად პრიორიტეტული, ახლომდებარე მტერი თუ შორეული, დასავლური მტერი. მეორე, ისინი ვერ თანხმდებოდნენ ძალადობის დასაშვებ რაოდენობასა და ხარისხზე. მესამე, ისინი ვერ თანხმდებოდნენ, იყო თუ არა გარემო მზად სახელმწიფოს გამოსაცხადებლად. (Bacon & Arnesault, 2017)

მუჰამედ ჰაფეზი 2020 წლის ანგარიშში დაეშისა და ალ კაიდას მეტად ახალ და ვრცელ შედარებას გვთავაზობს და შემდეგ გრაფას წარმოგვიდგენს:

მთავარი დაპირისპირებები	**დაეში**	**ალ კაიდა**
„ისლამური“ სახელმწიფოები	აყალიბებს „ისლამურ“ სახელმწიფოებს მათ კონტროლირებად ტერიტორიებზე	ფრთხილობს „ისლამური“ სახელმწიფოების ფორმირების საკითხზე, ახლანდელ დროში
„ისლამური“ კანონი	აყალიბებს შარიათის კანონს კონტროლირებად ტერიტორიებზე	„ისლამური კანონების“ შემოღებას გარდამავლად და მეტად ტოლერანტულად უყურებს

ალიანსები	უარყოფს ალიანსებს იდეოლოგიურად განსხვავებულ დაჯგუფებებთან	მოქმედებს განსხვავებულ მილიტარისტულ და პოლიტიკურ აქტორებთან
სექტარიანიზმი	მოიცავს სუნიტურ სექტარიანიზმს	ნაკლებ ყურადღებას უთმობს სექტარიანულ იდენტობებს
პურიტანიზმი	ისლამური სახელმწიფო არის ერთადერთი ჯიჰადისტური ფრაქცია წმინდა სალაფიტურ გზაზე	ისლამური სახელმწიფო არის სალაფიზმის ნეო-ხარაჯიტული გადახვევა

(Hafez, 2020)

ფინანსები და შეიარაღება

ტერორიზმთან გლობალური ბრძოლის პირობებში ტერორისტულ ორგანიზაციებს სხვადასხვა გზით ფინანსების მოსაპოვებლად რამოდენიმე ეტაპის გავლა უწევთ. დაფუძნების შემდგომ, ბინ ლადენი სიცოცხლეში თავად ზრუნავდა ორგანიზაციისთვის ფინანსების მოპოვებაზე. მიუხედავად ბინ ლადენის ჩართულობისა, ორგანიზაციის დაფინანსებაზე ადმინისტრაციისა და ფინანსების კომიტეტია პასუხისმგებელი. (Gunaratna & Oreg, Al Qaeda's Organizational Structure and its Evolution, 2010) ბერგენის და კრაუკშანკის მიერ მოგროვებულ ინფორმაციაში იკვეთება ალ კაიდას ფინანსების მოძიებისა და მართვის დეტალები ორგანიზაციის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტები:

- ოსამა ბინ ლადენმა დაახლოებით 20$ მილიონი მემკვიდრეობით მიიღო
- ალ კაიდას ჰქონდა ფინანსების, ხარჯებისა და ხელფასების სისტემა
- ორგანიზაციას ჰყავდა ბიზნეს კომიტეტი

- ალ კაიდას დაარსებისას ოსამა ბინ ლადენის პირადი ფინანსები დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა, დროთა განმავლობაში კი შუა აღმოსავლელმა ბიზნესმენებმა, მეჩეთებმა და საქველმოქმედო ორგანიზაციებმა შეითავსეს ალ კაიდას დაფინანსება.
- ბინ ლადენმა 1991 წელს უარი თქვა ალ კაიდასთვის ნარკოტიკების ტრეფიკინგში ჩართვის გზით ფინანსების მობილიზებაზე
- ბინ ლადენმა 100 000$ ოდენობის თანხა მისცა აიმან ალ-ზავაჰირის ჯიჰადისტური ორგანიზაციის ფესვების გასადგმელად, მან მომავალშიც გააგრძელა ზავაჰირის დაჯგუფების დაფინანსება სუდანში.
- ვესტ პოინტის მიერ მოპოვებულ დოკუმენტებში ნათლადაა გაწერილი წევრების ხელფასები და სხვა ხარჯები, მიიჩნევა, რომ ფინანსური დაგეგმარების ასეთ მიმართულებას პეშავარში ჩაეყარა საფუძველი.
- ბინ ლადენმა სოლიდური რაოდენობის თანხა დახარჯა იემენის, ავღანეთისა და პაკისტანის პოლიტიკაში.
- ალ კაიდა ფინანსურ მხარდაჭერას უცხადებდა რამოდენიმე ჯიჰადისტურ დაჯგუფებას სუდანში.
- ორგანიზაცია მზად იყო გამდიდრებული ურანის საყიდლად ურანში, სადაც ჯამალ ალ ფადლს დაეკისრა ამისთვის 1.5$ მილიონის შეთავაზება.
- მიუხედავად იმისა, რომ ალ კაიდა მზად იყო მასობრივი განადგურების იარაღში საკმაო ფულის გადასახდელად, ის ნაკლებად ხელგაშლილი იყო ხელფასებისა და სხვა ხარჯების შედგენისას.
- 1994 წელს, ბინ ლადენის საუდის არაბეთის პასპორტის დაკარგვისა და ოჯახისგან ჩამოშორების შედეგად ალ კაიდას ფინანსური პრობლემები შეექმნა.
- ჯამალ ალ ფადლმა ალ კაიდას ფულის მოპარვა დაიწყო, მან თავად განაცხადა, რომ უსამართლოდ მიიჩნევდა საკუთარ ხელფასს სუდანში არსებულ ხელფასებთან შედარებით.
- 1993-1996 წლებში სომალში არსებული ბანაკების შენახვა ალ კაიდას თვეში 130 000$ უჯდებოდა.

(Bergen & Cruickshank, 2012)

RAND Corporation-ის კვლევაზე დაფუძნებული 2006 წელს გამოცემული წიგნის მიხედვით, ალ კაიდას მიერ ფინანსების მოძიების რამოდენიმე გზა ირკვევა. ინტერნეტ სივრცეში უბრალოდ თანხის მოთხოვნის მაგივრად, ალ კაიდა უფრო რთულ გზებს მიმართავს, როგორებიცაა: ონლაინ თაღლითობა, იდენტობის მოპარვა, და სხვა ინტერნეტ დანაშაულები. ალ კაიდა კვალის დასამალად ეგრეთწოდებულ „ანონიმაიზერებს“ იყენებს. გარდა მდიდარი დონორების შემოწირულობებისა, ალ კაიდა დაფინანსებას მნიშვნელოვან ნაწილს მცირე დონაციებით იღებს, რომელსაც მუსლიმური სამყაროში მცხოვრები ადამიანები იღებენ. ეს ტერორიზმის დაფინანსებაში მნიშვნელოვანი ტრენდია. 9/11 ტრაგედიამდე გადარიცხვები პირდაპირი გზით ხდებოდა, დიდი თანხების გადარიცხვისას სტუდენტების ანგარიშებს იყენებდნენ, რაც ეჭვს არ ბადებდა, იმ მიზეზით, რომ სტუდენტებს სწავლის გადასახადი აკისრიათ. ტერორისტულ ორგანიზაციებზე გაძლიერებული დაკვირვების შედეგად ალ კაიდა ამ მეთოდს აღარ იყენებს, ის მეტად არაფორმალურ სისტემას მიმართავს და კურიერებსაც იყენებს, რომლებსაც თანხა ფიზიკურად მიაქვთ დანიშნულების ადგილამდე. (Rebasa, და სხვ., 2006)

ჯონას ფელტესი გვთავაზობს ალ კაიდას თავდასხმებისა და შეიარაღების მიმოხილვას. ნაშრომიდან ირკვევა, რომ ალ კაიდა მრავალი სახის იარაღს იყენებს თავდასხმებისას, მაგრამ აქვს გარკვეული ხელწერა. ცივი იარაღი, როგორიცაა დანები, ყუთის საჭრელები, ნაჯახები და სხვა მჭრელი საგნები, გამოიყენება ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში, მაგრამ ეს არც თუ ისე ხშირია. მეტად ხშირი გამოყენება აქვს ცეცხლსასროლ იარაღებს. ამ ტიპის იარაღი პოპულარულია ალ კაიდას მოკავშირე ორგანიზაციებს შორის დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებში. ასევე თავდასხმების განსახორციელებლად გამოიყენება გადაადგილების საშუალებები: მანქანები, სატვირთო ავტომობილები. ალ კაიდას ხელწერას კი ყველაზე კარგად ასაფეთქებელი ნივთიერებები აღნიშნავს. ალ კაიდას მიერ განხორციელებული ყველაზე სისხლიანი და ცნობილი თავდასხმებიც ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით განხორციელდა. (Feltes)

მოკავშირეები

როგორც ზემოთ აღინიშნა დაეში თავდაპირველად ალ კაიდას მოკავშირე ორგანიზაცია იყო და მათ შორის ერთგვარი შეთანხმება არსებობდა ერთგულების ფიცის სახით. მსგავსი შეთანხმებები ალ კაიდასთან მიმართებაში სხვა მცირე თუ დიდი ზომის ორგანიზაციებსაც აქვთ.

მოკავშირეების განხილვა შეგვიძლია, როგორც ორგანიზაციები, რომლებიც ასოცირებას ახდენენ სხვა ჯგუფთან, ამ შემთხვევაში ალ კაიდასთან, როგორც დაქვემდებარებული, შვილობილი, თანამშრომელი ან წევრი ორგანიზაცია. (Byman, 2014) შესაბამისად, ალ კაიდას მოკავშირეებზე საუბრისას გასათვალისწინებელია მათი კავშირის ტიპი.

კვლევა ალ კაიდასთან აფილირებულ ორგანიზაციებს ორ ნაწილად ყოფს. ისეთი მოკავშირეები, რომლებიც იზიარებენ ალ კაიდას ანტი-დასავლურ მოსაზრებებს, გლობალურ მოკავშირეებად ითვლებიან. ისინი კავშირს ამყარებენ ალ კაიდასთან ორგანიზაციისთვის მეტი ლეგიტიმაციისთვის საკუთარი ანტი-დასავლური ჯიჰადის იდეებისთვის. ზოგი კვლევა იმასაც ირწმუნება, რომ სასიკვდილო თავდასხმების შესაძლებლობების განვითარებისთვის ამყარებენ კავშირებს. სხვა, მეორე ტიპის ჯგუფები კი საკუთარ სახელმწიფოებზე ბრძოლის გასაუმჯობესებლად ამყარებენ კავშირებს. განსხვავდება მოკავშირეების ტაქტიკები და მიზნები, თუმცა ასეთი გადანაწილების შემთხვევაში საკმაოდ მსგავსია. (Ramirez & Robbins, 2018) ალ კაიდას მასთან აფილირებული ორგანიზაციები საშუალებას აძლევენ, გაზარდონ მოქმედების არეალი, იდეოლოგიური თანხმობა მათ საშუალებას აძლევს საკუთარი აჯენდის ისეთ სპეციფიკურ ადგილებში გავრცელებას, სადაც ლოკალური ჯგუფების აფილირების გარეშე ამას ვერ მოახერხებდნენ. (Byman, 2014)

რეალურად უცნობია რამხელა ძალა და გავლენა აქვს ალ კაიდას მასთან აფილირებულ ჯგუფებსა და მოკავშირეებზე. ვესტ პოინტის მიერ მოპოვებული წერილების გაანალიზების შედეგად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ოსამა ბინ ლადენის ამირობის პერიოდში ალ კაიდას რეგიონალურ დაჯგუფებებზე კონტროლი არ ჰქონდა, ზოგიერთი წერილის ტონი იმასაც კი იუწყება, რომ ბინ ლადენს ცოტაოდენი გავლენაც კი არ ჰქონდა მათზე. Associated Press-ის მალიში აღმოჩენილი დოკუმენტები კი იუწყებიან, რომ შეიძლება, ალ კაიდას უჭირდეს მასთან

აფილირებული ჯგუფების საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა, მაგრამ თავად ამ ჯგუფებსაც უჭირთ საკუთარი წევრების კონტროლი. (Humud, და სხვ., 2014)
Congressional Research Service-ის ანგარიში გვთავაზობს ალ კაიდასთან აფილირებული ჯგუფებისა და მათი მხარდამჭერების რეგიონალურ დახარისხებასა და მათი წარმოშობის შესახებ ინფორმაციას.

ლევანტი და ერაყი

ერაყი და სირია ალ კაიდასთან აფილირებული ჯგუფის, ალ ნუსრასა და როგორც უკვე აღინიშნა, საერთო ფესვების მქონე დაეშის სამშობლოა. ალ ნუსრა ფრონტი 2011 წელს გააქტიურდა სირიაში. ის საკმაოდ კარგად დაგეგმილ, ლეტალურ ოპერაციებს ასრულებდა სირიის მთავრობის წარმომადგენლებზე, რითიც დაჯგუფებამ თავი გამოიჩინა. ალ ნუსრა ფრონტი ამ პერიოდიდან დაეშის თავდაპირველი საფუძვლის, AQI-ს მოკავშირე იყო, მაგრამ ამას საზოგადოდ არ აცხადებდა. 2014 წელს, როდესაც დაეში განსაკუთრებულად გააქტიურდა, მასსა და სხვა ორგანიზაციებს შორის კონფლიქტი წარმოიქმნა, რის მედიაციასაც ალ ნუსრა ფრონტი ცდილობდა.

იემენი

1980-იანი წლების ბოლოს, არაბი მოხალისეების ნაწილი, რომლებიც ავღანეთში კომუნისტების წინააღმდეგ იბრძოდნენ, იემენში დაბრუნდა. 2000-იან წლებში შემუშავებულ ამერიკის შეერთებული შტატების კონტრ-ტერორისტულ სტრატეგიას იემენიც შეუერთდა და ჯიჰადისტები პატიმრობაში მოაქცია. 2006 წელს ამ პატიმრების დიდი ნაწილი ციხიდან გაიქცა, არსებობს მოსაზრებაც, რომ ამ ყველაფერში იემენის უსაფრთხოების სერვისების ხელი ურევია. ციხიდან გაქცეული ჯიჰადისტების ნაწილმა იემენში დააარსა ალ კაიდასთან აფილირებული ტერორისტული ორგანიზაცია, სახელად ალ კაიდა სამხრეთ არაბეთის ნახევარკუნძულზე, ორგანიზაციას მოიხსენიებდნენ, როგორც ალ კაიდას იემენში. 2009 წლის იანვარში, ალ კაიდასთან აფილირებულმა მებრძოლებმა საუდის არაბეთში ერთგულების ფიცი დაუდეს იემენის ორგანიზაციის ლიდერს, რის შემდეგაც მათ სახელად ალ კაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე (AQAP) ეწოდათ. 2012 წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა იემენში მოქმედ ანსარ ალ შარიას (AAS) უცხოური ტერორისტული ორგანიზაციის

სტატუსი მიანიჭა. სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით AAS მუშაობს AQAP-სთვის ახალი წევრების მოზიდვაზე.

აფრიკის რუქა

ალ კაიდასა და სხვა ორგანიზაციების ისლამისტი მებრძოლები 20 წელზე მეტია აღმოსავლეთ აფრიკაში აქტიურობენ. ალ-შაბაბმა აქტიურობა 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ალ-შაბაბის რამოდენიმე ლიდერს გავლილი ჰქონდა ალ კაიდას მომზადება და მის ბრძოლებშიც იყო ჩართული. ალ კაიდას ცნობილი წარმომადგენლები მისი შექმნის პერიოდში ალ-შაბაბთან ასოცირდებოდნენ. დაჯგუფების ნარატივები ემთხვევა ალ კაიდას ნარატივებს. ალ-შაბაბის ამბიციები აღმოსავლეთ აფრიკას სცდება, ის ინარჩუნებს კავშირს AQAP-თან იემენში.

ჩრდილო და დასავლეთ აფრიკა

ჩრდილო და დასავლეთ აფრიკაში შეიარაღებულმა, ისლამისტურმა დაჯგუფებებმა იმატა, ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ისინი ძირითადად ლოკალურად აქტიურობენ, თუმცა არსებობს დასავლეთზე თავდასხმის საფრთხეც, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი პრევენციაზე მუშაობენ. რეგიონი ასევე არის მოხალისეებისა და რეკრუტების წყარო ალ კაიდასთვის და კონტინენტზე არსებული სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებებისთვის. რეგიონში მოქმედებს ალ კაიდასთან ცხადად აფილირებული ჯგუფი, ალ კაიდა ისლამურ მაღრებში (AQIM). AQIM 1990 წლებში ალჟირის სამოქალაქო კონფლიქტის დროს დაარსდა, ის ცნობილი იყო როგორც სალაფიტური ჯგუფი ქადაგებისა და ბრძოლისთვის (GSPC). ჯგუფმა 2003 წელს ერთგულება გამოუცხადა ალ კაიდას, 2006 წელს კი ალ კაიდასთან გაერთიანდა და ერთ წელიწადში სახელიც შეიცვალა. 2011 წელს ჯგუფში გარღვევა მოხდა და მისმა რამოდენიმე წევრმა საკუთარი ორგანიზაცია დააარსა. AQIM-ის ყოფილმა წევრმა, მოხთარ ბელ მოხთარმა 2013 წელს ალ მურაბიტუნი დააარსა, რომელიც AQIM-ისგან გამოყოფილ კიდევ ერთ დაჯგუფებასთან, მოძრაობა ერთიანობისა და ჯიჰადისთვის დასავლეთ აფრიკაში (MUJWA) გაერთიანდა. ამის შემდეგ ბელ მოხთარმა ალ კაიდას ლიდერს აიმან ალ-ზავაჰირის ერთგულება შეჰფიცა. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების განცხადებით AQIM, AQAP იყენებენ ლიბიის ტერიტორიას წევრების წვრთნისთვის.

(Humud, და სხვ., 2014)

რამირეზისა და რობინსის კვლევაში ვაწყდებით ალ კაიდასთან აფილირებული ჯგუფების ჩამონათვალს, რომელიც სამი სხვადასხვა საკვლევი ჯგუფის მიერ მოგროვებული მასალის ანალიზითა და შედარებით იქნა შედგენილი:

აფილირებული ჯგუფი	**გააქტიურდა**	**აფილირდა**	**მოქმედების არეალი**
აბუ საიფა	1991	1998	მალაიზია, ფილიპინები
ალ-ნუსრა	2011	2013	ერაყი, ლიბანი, სირია, თურქეთი
ალ-კაიდა ერაყში	2001	2004	ერაყი, იორდანია, სირია, გაერთიანებული სამეფო
ისლამური სახელმწიფო ერაყში	2007	2007	ერაყი
თავჰიდი და ჯიჰადი	2000	2001	ერაყი, იორდანია
AQAP	2003	2009	საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, გაერთიანებული სამეფო, აშშ, იემენი
ალ კაიდა იემენში	2000	2009	იემენი
ალ კაიდა საუდის არაბეთში	2003	2009	საუდის არაბეთი
ალ კაიდა ისლამურ მაღრებში	2006	2006	ალჟირი, ლიბია, მალი, მავრიტანია, მოროკო, ნიგერი, ნიგერია, ტუნისი
SGPC	1998	2006	ალჟირი
ალ-შაბაბი	2003	2010	კონგო, ჯიბუტი, ეთიოპია, კენია, სომალი, უგანდა
ანსარ ალ-ისლამი	2001	2003	ერაყი, სირია
ალ ჯიჰადი	1978	2001	ეგვიპტე, პაკისტანი

ისლამური მოძრაობა უზბეკეთში	1998	1999	ავღანეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი, უზბეკეთი
ჯემაა ისლამია	1993	1999	ინდონეზია, ფილიპინები, ტაივანი
ლაშქარ-ე-ჯანგვი	1995	2001	ავღანეთი, ინდოეთი პაკისტანი
ლაშქარ-ე-თაიბა	1990	2001	ავღანეთი, ინდოეთი პაკისტანი
ალ-მანსორიანი	1993	2001	ინდოეთი, პაკისტანი
თერიკ-ი-თალიბან პაკისტანი	2007	2007	ავღანეთი, პაკისტანი
თალიბანი	1994	1996	ავღანეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ერაყი, ნიგერია, აშშ, იემენი
ჯაიშ-ე-მოჰამად	2000	1998	ინდოეთი, პაკისტანი
ჰაქანი ნეთვორქ	1968	1968	ავღანეთი, პაკისტანი
ჰარკათულ-ჯიჰად-ე-ისლამი	1984	1998	ბანგლადეში, ინდოეთი, პაკისტანი
ჰარაქათ-ალ-მუჯაჰიდინ	1985	1998	ინდოეთი, ნეპალი, პაკისტანი
ჰარქათ ულ ანსარ	1993	1998	ინდოეთი, პაკისტანი

(Ramirez & Robbins, 2018)

ბიბლიოგრაფია

Al Jazeera. (2012 წლის 21 May). *Al-Qaeda claims deadly Yemen suicide blast*. მოპოვებული 2021 წლის January, Al Jazeera: https://www.aljazeera.com/news/2012/5/21/al-qaeda-claims-deadly-yemen-suicide-blast-დან

Al Jazeera. (2015 წლის 14 January). *Al-Qaeda in Yemen claims Charlie Hebdo attack*. მოპოვებული 2021 წლის January, Al Jazeera: https://www.aljazeera.com/news/2015/1/14/al-qaeda-in-yemen-claims-charlie-hebdo-attack-დან

Al Jazeera. (2019 წლის August). *Al-Qaeda launches deadly attack on army base in southern Yemen*. მოპოვებული 2021 წლის January, Al Jazeera: https://www.aljazeera.com/news/2019/8/2/al-qaeda-launches-deadly-attack-on-army-base-in-southern-yemen-დან

Al Jazeera. (2021 წლის 5 January). *Al-Qaeda branch claims killings of French soldiers in Mali*. მოპოვებული 2021 წლის Jauary, Al Jazeera: https://www.aljazeera.com/news/2021/1/5/al-qaeda-branch-claims-killings-of-french-soldiers-in-mali-დან

Bacon, T., & Arnesault, E. G. (2017). Al Qaeda and the Islamic State's Break: Strategic Strife or Lackluster Leadership? *Studies in Conflict & Terrorism, 42*, 229-263.

BBC. (2010 წლის May). *At least 100 killed in Iraqi violence*. მოპოვებული 2021 წლის January, bbc.com: At least 100 killed in Iraqi violence-დან

Bergen, P., & Cruickshank, P. (2012). Revisiting the Early Al Qaeda: An Updated Account of its Formative Years. *Studies in Conflict & Terrorism*, 1-36.

BUREAU OF DIPLOMATIC SECURITY. (2019 წლის 21 February). *1993 World Trade Center Bombing*. მოპოვებული U.S Department of State: https://www.state.gov/1993-world-trade-center-bombing/-დან

Byman, D. (2014). Buddies or Burdens? Understanding the Al Qaeda Relationship with Its Affiliate Organizations. *Security Studies*, 431–470.

CNN Wire Staff. (2010 წლის 24 April). *At least 61 dead in Iraq bombings*. მოპოვებული 2021 წლის January, cnn.com: http://edition.cnn.com/2010/WORLD/meast/04/23/iraq.violence/index.html-დან

Combating Terrorism Center. (2002 წლის 20 March). *Employment Contract- Translation.*

Feltes, J. (თ. გ.). *TERRORIST GROUP: AL QAEDA WEAPONS USE.* მოპოვებული 2020, Counter Terrorism Ethics: http://counterterrorismethics.com/the-past-present-and-future-weapon-use-of-al-qaeda/?fbclid=IwAR2IlfDOWOVCA3Hj2StcEDpdzpNv261aDYgwKwnSQNht73MuTPLdRwAIQFg-დან

Foden, G. (2002 წლის 24 August). *What is the origin of the name al-Qaida?* მოპოვებული 2020 წლის November, The Guardian: https://www.theguardian.com/books/2002/aug/24/alqaida.sciencefictionfantasyandhorror-დან

Gunaratna, R. (2005). Al Qaeda's ideology. *Current Trends in Islamist Ideology, 1*, 59+.

Gunaratna, R., & Oreg, A. (2010). Al Qaeda's Organizational Structure and its Evolution. *Studies in Conflict & Terrorism, 33*, 1043-1078.

Hafez, M. M. (2020). The Crisis Within Jihadism: The Islamic State's Puritanism vs. al-Qa`ida's Populism. *CTC Sentinel*, 40-46.

Humud, C. E., Arieff, A., Blanchard, L. P., Blanchard, C. M., Sharp, J. M., & Katzman, K. (2014). *Al Qaeda-Affiliated Groups: Middle East and Africa.* Congressional Research Service.

Leland, J. (2011 წლის 24 January). *Bombings Strike Shiite Pilgrims at Iraqi City*. მოპოვებული 2021 წლის January, New York Times: https://www.nytimes.com/2011/01/25/world/middleeast/25iraq.html-დან

Mogadam, A. (2008). The Salafi-Jihad as a Religious Ideology. *CTC Sentinel, 1*(3).

Parker, N., & Zeki, J. (2010 წლის November). *At least 113 killed in series of Baghdad attacks*. მოპოვებული 2021 წლის Januray, Los Angeles Times: At least 113 killed in series of Baghdad attacks-დან

Ramirez, S. L., & Robbins, A. J. (2018). Targets and Tactics: Testing for a Duality within Al Qaeda's Network. *INTERNATIONAL INTERACTIONS, 44*, 559-581.

Rebasa, A., Chalk, P., Cragin, K., Daily, S. A., Gregg, H. S., O'Brien, K. A., & Rosenau, W. (2006). *Beyond al-Qaeda: Part 1, The Global Jihadist Movement.* RAND Corporation.

The Guardian. (2005 წლის 10 July). *Al-Qaeda's terrifying decade of worldwide slaughter*. მოპოვებული The Guardian: https://www.theguardian.com/uk/2005/jul/10/alqaida.july7-დან

The Hindu. (2010 წლის 27 February). *Pune blast toll goes up to 17*. მოპოვებული 2021 წლის January, The Hindu: https://www.thehindu.com/news/national/article114417.ece-დან

Wander, A. (2008 წლის 13 July). *A history of terror: Al-Qaeda 1988-2008*. მოპოვებული The Guardian: https://www.theguardian.com/world/2008/jul/13/history.alqaida-დან

დანართი 1.1 - მოკავშირეების აქტიურობა ლევანტსა და ერაყში



(Humud, და სხვ., 2014)

დანართი 1.2 - მოკავშირეების აქტიურობა აფრიკის რქაში



(Humud, და სხვ., 2014)

დანართი 1.3 - მოკავშირეების აქტიურობა ჩრდილოეთ აფრიკაში



(Humud, და სხვ., 2014)